ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №

-- აპრილი 2026 წელი ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №8 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 20/06/2022, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016543) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. **დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 მუხლი:**

„მუხლი 2^1 .

დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის წევრის (გარდა თანამდებობის პირისა) მიერ კომისიის სხდომაზე ფაქტობრივი დასწრების შესახებ წარსადგენი წერილობითი ინფორმაციის ფორმა, №2^1 დანართის შესაბამისად.”.

2. დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების პროცედურები

1. საკრებულოს წევრი (გარდა თანამდებობის პირებისა) ვალდებულია ყოველ თვეში არანაკლებ 5 ჯერ შეხვდეს ამომრჩევლებს, როგორც ადგილზე ასევე გასვლით, რასთან დაკავშირებითაც ყოველი თვის დასაწყისში არაუგვიანეს 2 (ორი) რიცხვისა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში წარადგენს წერილობით ინფორმაციას ამ დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართის შესაბამისად.

2. საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიები, ყოველი თვის დასაწყისში არაუგვიანეს 2(ორი) რიცხვისა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენენ წერილობით ინფორმაციას კომისიის წევრთა (გარდა თანამდებობის პირისა) მიერ კომისიის სხდომაზე ფაქტობრივი დასწრების შესახებ, ამ დადგენილებით დამტკიცებული №2^1 დანართის შესაბამისად.

3. საკრებულოს წევრს (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები აუნაზღაურდეს ამომრჩევლებთან გამართულ შეხვედრებში, აგრეთვე საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის პროპორციულად.

4. საკრებულოს წევრს (გარდა თანამდებობის პირისა) საკრებულოს ან საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის სხდომა საპატიო მიზეზით გაცდენილად ეთვლება, თუ საკრებულოს/კომისიის სხდომის გაცდენის თაობაზე წინასწარ, წერილობით (ხოლო წერილობითი შეტყობინების შეუძლებლობისას – ზეპირად) ეცნობა შესაბამისად საკრებულოს ან კომისიის თავმჯდომარეს. აღნიშნულთან დაკავშირებით საკრებულოს წევრმა საკრებულოს აპარატში ყოველი თვის დასაწყისში არაუგვიანეს 2 (ორი) რიცხვისა წერილობით უნდა წარადგინოს შესაბამისი ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

5. საკრებულოს აპარატის უფროსმა, შესაბამისი ინფორმაციის მიღებიდან 2 (ორი) დღის ვადაში, უზრუნველყოს საკრებულოს წევრთა (გარდა თანამდებობის პირებისა) მიერ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული გაწეული ხარჯების ანაზღაურებისა და მათი ოდენობის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარისათვის ერთიანი მოხსენებითი ბარათის წარდგენა.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, წარდგენისთანავე (იმავე დღეს) საკრებულოს თავმჯდომარის წერილით გადაეგზავნება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას.

7. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა, საკრებულოს მიერ გაგზავნილი დოკუმენტაციის (წერილი, მოხსენებითი ბარათი და სხვა დოკუმენტაცია) საფუძველზე, 3 (სამი) დღის ვადაში უზრუნველყოს საკრებულოს წევრის ხარჯების ანაზღაურება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საკრებულოს წევრის საბანკო ანგარიშზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით.”.

3. დადგენილებას დაემატოს №2[1] დანართი (თან ერთვის).

4. დადგენილების №3 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ივანე მაისურაძე

დანართი 2[1]

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის წევრის (გარდა თანამდებობის პირისა) მიერ კომისიის სხდომაზე ფაქტობრივი დასწრების შესახებ წარსადგენი წერილობითი ინფორმაციის ფორმა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ----------

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ----------
----------კომისია წარმოგიდგენთ კომისიის სხდომებზე წევრების (გარდა თანამდებობის პირისა) დასწრებისა და გაცდენის (მათ შორის საპატიო მიზეზით) შესახებ ინფორმაციას:

საანგარიშო პერიოდი:

(თვე) (წელი)

№	კომისიის წევრის სახელი, გვარი	კომისიის სხდომების რაოდენობა/დასწრება		საპატიო მიზეზით გაცდენების რაოდენობა

კომისიის თავმჯდომარე: (სახელი, გვარი, ხელწერა):

დანართი 3

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ამსახველი მონაცემების ცხრილი

საანგარიშო პერიოდი:

(თვე) (წელი)

№	საკრებულოს წევრის სახელი, გვარი	საკრებულოს სხდომების რაოდენობა/დასწრება		საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა/დასწრება		საპატიო მიზეზით გაცდენების რაოდენობა	მოსახლეობასთან შეხვედრების რაოდენობა	საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯი (ლარში)

წინამდებარე ცხრილი შეადგინეს:

საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურე

(სახელი გვარი) (ხელმოწერა)

საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურე

(ხელმოწერა) (სახელი გვარი)

საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურე

(ხელმოწერა) (სახელი გვარი)

საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურე

(ხელმოწერა) (სახელი გვარი)

ცხრილის შევსების თარიღი „--------“ „----------“-------წელი.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი:

დადგენილებას ემატება 2^1 მუხლი, რომლითაც განისაზღვრება საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის წევრის (გარდა თანამდებობის პირისა) მიერ კომისიის სხდომებზე ფაქტობრივი დასწრების შესახებ წარსადგენი წერილობითი ინფორმაციის ფორმა (დანართი №2^1). აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს პროცესის გამარტივებას და ინფორმაციის ოპერატიულად წარდგენას.

მოქმედი წესისგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც მუდმივმოქმედი კომისიის სხდომებზე დასწრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სხდომის ოქმი) მიეწოდებოდა საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრულ პირს, წარმოდგენილი პროექტით კი განისაზღვრა ინფორმაციის წარდგენის პირდაპირი წესი, კერძოდ, კომისიის თავმჯდომარე ინფორმაციას კომისიის წევრთა (გარდა თანამდებობის პირისა) ფაქტობრივი დასწრების შესახებ (№2^1 დანართის შესაბამისად) უშუალოდ წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს. აღნიშნული ცვლილება ზრდის ადმინისტრაციული წარმოების ეფექტურობას და უზრუნველყოფს დოკუმენტაციის სისტემატიზაციას.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა №3 დანართის რედაქციული დაზუსტება, რის შედეგადაც საანგარიშო ფორმა სრულ შესაბამისობაში იქნა მოყვანილი მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროექტით ასევე ხორციელდება ტექნიკური ხასიათის რედაქციული დაზუსტება „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტთან მიმართებით, რაც მიზნად ისახავს ტერმინოლოგიის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე